

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის

ბრძანება № 01-01/56

თბილისი

“ 01 “ აგვისტო 2022 წ.

შემოდგომის სემესტრში მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი
დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი
შიდა ნორმატიული აქტებისა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის
უფროსის 29.07.2022 წლის ბრ. N1.1/74 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**I. დამტკიცდეს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, შპს გურამ თავართქილაძის
სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
და სამართლის ფაკულტეტებზე სუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით შემდეგი
ვაკანტური ადგილები:**

**ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი) - 40 ადგილი.
- ტურიზმი - 20 ადგილი.
- ჟურნალისტიკა - 20 ადგილი.
- ფსიქოლოგია - 20 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 10 ადგილი.
- მასობრივი კომუნიკაცია - 10 ადგილი.

**სამართლის ფაკულტეტი
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

- სამართალი - 50 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 20 ადგილი.
- კერძო სამართალი - 20 ადგილი.

II. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:

1. ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის უნივერსიტეტში გამოცხადების/ონლაინ რეგისტრაციის და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - 2022 წლის 12 სექტემბრიდან - 20 სექტემბრის ჩათვლით.
2. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა 12 სექტემბრიდან - 20 სექტემბრის ჩათვლით.
3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტის პროექტის სასწავლო უნივერსიტეტის რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა - 2022 წლის 22 სექტემბერი.
4. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - 2022 წლის 01 ოქტომბრამდე.
5. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა - 2022 წლის 03 ოქტომბრის ჩათვლით.
6. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის ვადა - 2022 წლის 03 ოქტომბრის ჩათვლით.
7. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - 2022 წლის 07 ოქტომბრამდე
9. მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2022 წლის 07 ოქტომბრამდე
10. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა.

III. განისაზღვროს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის მსურველ პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (რექტორის სახელზე);
- სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);
- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

IV. მობილობის პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს

V. სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;

VI. მობილობით გადმოსული სტუდენტები ისარგებლებენ 500 ლარიანი შიდა გრანტით და პირველ წელს სწავლის საფასური განესაზღვრებათ 1750 ლარის ოდენობით;

VII. ბრძანების სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს გოთუნი-ს მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს

VIII. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

XI. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
კანცლერი**

ელისო ელისაშვილი